ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3559779

ნომერი: AR1540338

თარიღი : 13.09.2017

გაცემის თარიღი : 22.09.2017

გაცნობის თარიღი : 22.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით დემურაშვილი პ/ნ 10002000820
- ბოლნისი დ. კაზრეთი N 118/119 ბ. 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3119391 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 13 სექტემბერს №AR1540338 განცხადებით მომართა დავით დემურაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3119391 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3119391 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, დიღომში, კერძო მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.72.14.014.764, მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 27 თებერვლიდან 2020 წლის 27 თებერვლის ჩათვლით.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3119391 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, რომ საერთო ფართობი უნდა იყოს 8055,63 კვ.მ, ნაცვლად, 7395,02კვ.მ-სა, საოფისე ფართობი უნდა იყოს 3489,68 კვ.მ, ნაცვლად, 2913,37კმ-სა, საზაფხულო ფართობი უნდა იყოს 651,43 კვ.მ, ნაცვლად 596,07კვ.მ-სა და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობები უნდა იყოს 1182,25 კვ.მ, ნაცვლად, 1153,35კვ.მ-სა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 13 სექტემბერს AR1540338 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2017 წლის 27 თებერვლის №3119391 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3119391 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს: 8055,63 კვ.მ, საოფისე ფართობად დაფიქსირდეს: 3489,68 კვ.მ, საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს: 651,43 კვ.მ და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობებად დაფიქსირდეს:1182,25 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3119391 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3119391 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.